

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა

- ❖ ბხსუ-ში სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერასა და საკონსულტაციო მომსახურებას ახორციელებს შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილება. (ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №104)

✚ განყოფილების მიზნებს წარმოადგენს:

- შემოქმედებითი, მათ შორის საუნივერსიტეტო და სტუდენტური პროექტების ეფექტური განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტში შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- პროექტების განხორციელების ფარგლებში დეპარტამენტებს შორის ურთიერთქმედების პროცედურების გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტრატეგიების შემუშავება, სტუდენტების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) ხელშეწყობა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მჭიდრო კონტაქტის დამყარება დამსაქმებლებთან, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებაში და შესაბამისად, პროფესიულ, სოციალურ - ეკონომიკურ რეალიზაციაში.

✚ განყოფილების ფუნქციებში შედის:

- სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სამუშაო ადგილების მოძიება პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მათთვის კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა, დასაქმების ვებგვერდებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ვაკანსიებთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;
- პარტნიორი დამსაქმებლების ბაზარზე სტუდენტთა პრაქტიკის გავლის ხელშეწყობა;
- პარტნიორი ორგანიზაციების და პოტენციური დამსაქმებლების სხვადასხვა პროექტში, პროგრამაში, სტაჟირებაში და სხვ. სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- სხვადასხვა ღონისძიებაზე პარტნიორი ორგანიზაციებისა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოწვევა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ვიზიტების ორგანიზება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, პარტნიორი დაწესებულებების დახმარებითა და მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და ჩატარება;
- სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა;

- საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და მათი ინტეგრირების მიზნით შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
- განყოფილების დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილება ხელს უწყობს სტუდენტებს განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში. ეხმარება მათ CV-ების და სამოტივაციო წერილების დაწერაში, შესაბამის ვებგვერდზე და სტუდენტებისათვის სპეციალურად შექმნილ Facebook ჯგუფებში „ბხსუელი“ <https://www.facebook.com/groups/1186120261490394/> და „ბხსუ - სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა“ - <https://www.facebook.com/groups/2247726018843189/> სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების, დამსაქმებლების, დაგეგმილი სტაჟირებებისა და ტრენინგების შესახებ. გვერდი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას მოსალოდნელი კონკურსების, საერთაშორისო პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ.